

კომპიუტერული ტესტირების დროს სტუდენტთა ქცევის წესები

წესები, რომლებიც უნდა დაიცვან სტუდენტებმა კომპიუტერული ტესტირების დროს სტუდენტმა, დარბაზში შემოსვლამდე უნდა გამორთოს მობილური ტელეფონი და სხვა ვიდეო/აუდიო ელექტრონული საშუალებები. გაიაროს რეგისტრაცია და უნდა დაბრძანდეს სარეგისტრაციო ბარათზე მითითებულ ადგილზე.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ დაგვიანებით მოსული სტუდენტები გამოცდაზე არ დაიშვებიან!

უცხო პირთა შესვლა საგამოცდო დარბაზში აკრძალულია!

საგამოცდო დარბაზში მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი!

სტუდენტი ვალდებულია არ დააწყოს მაგიდაზე არც ერთი ნივთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, კალმის, სამუშაო ფურცლის და გამორთული მობილური ტელეფონის გარდა.

სტუდენტი სისტემაში შედის სარეგისტრაციო ბარათზე აღნიშნული მომხმარებლის სახელითა და პაროლით. ირჩევს საგამოცდო საგანს, შემდეგ საგამოცდო ტესტს და ელოდება საგამოცდო დავალებაზე მუშაობის დაწყების ნებართვას, რომელიც, როგორც წესი, ცხადდება ხმამაღლამოლაპარაკით ან მეთვალყურის მიერ.

შეფასების ელექტრონული სისტემაში ავტორიზაციის პრობლემების შემთხვევაში ხელის აწევით უნდა მიმართოს მეთვალყურეს.

უხეში დარღვევები, რომლის დროსაც სტუდენტი გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდიდან:

- დამხმარე მასალის, ე.წ. „შპარგალკის“ და/ან ჩართული მობილური ტელეფონის გამოყენება;
- სხვის მაგივრად (ნაცვლად) საგამოცდო პროცესში მონაწილეობა;
- ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფისათვის;
- ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას აკრძალულია და აღმოჩენის შემთხვევაში მიეცემა გაფრთხილება:

- ტესტზე მუშაობის დაწყება წესების გამოცხადებამდე;
- ერთმანეთში ლაპარაკი (საუბარი) და/ან ერთმანეთის დახმარების მცდელობა;
- საგამოცდო პროცესის დროს, სექტორში ადგილის თვითნებური დაკავება ან დატოვება;
- საქციელი, რომელიც იწვევს ხმაურს და ხელს უშლის სხვა სტუდენტებს მუშაობაში.

ჩამოთვლილი წესების დარღვევისას სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, რომელიც დაფიქსირდება უწყისში, განმეორების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან მისი მოხსნის თაობაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი

სტუდენტს შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების ან ნებისმიერი სხვა პროცედურული საკითხის წერილობითი გასაჩივრება.

ტექნიკური შეფერხების ან ნებისმიერი სხვა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა მეთვალყურეს უნდა მიმართოს ხელის აწევით.

სასესიო პერიოდში ტესტური დავალების შესახებ სააპელაციო განაცხადი მიიღება სარეგისტრაციო დარბაზში. სასესიო პერიოდის დამთავრების შემდეგ, 5 სამუშაო დღის განმავლობაში (თუ ეს ვადა, გამოცდის თავისებურებიდან გამომდინარე, სპეციალურად არაა რეგლამენტირებული) სტუდენტს შეუძლია მიმართოს საგამოცდო ცენტრს (სტუ-ს VI კორპუსი, 411ა ოთახი, ტელ. 2364234, შიდა ტელ. 6862), ნახოს თავისი ნამუშევრის ელექტრონული ვერსია, შეფასებები და ამის შემდეგ, იქვე გააკეთოს სააპელაციო განაცხადი. აპელაციები განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ, აპელაციის ავტორის გარეშე და შედეგები ავტომატურად აისახება სტუდენტის ქულებზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი

საგამოცდო დარბაზში პერიოდულად გამოცხადებული ტექსტი:

ტესტირების დროს თან უნდა იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

დარბაზში შემოსვლისას გთხოვთ გამორთოთ მობილური ტელეფონები, გაიარეთ რეგისტრაცია და დაბრძანდით სარეგისტრაციო ბარათზე მითითებულ ადგილზე.

სტუდენტს არა აქვს უფლება საგამოცდო დარბაზში თვითნებურად დაიკავოს ადგილი, ასეთ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

გამოცდის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტს არ აქვს უფლება დარბაზის დატოვებისა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

საგამოცდო დარბაზიდან გასვლის წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და დაეწერება შეფასება 0.

სტუდენტის მიერ გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელის მიერ ხდება გაფრთხილების სექტორის უწყისში ასახვა.

ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა სტუდენტისთვის ინდივიდუალურად დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ იხურება საგამოცდო დარბაზში შესასვლელი კარი და დაგვიანებით მოსული სტუდენტები გამოცდაზე არ დაიშვებიან.

უცხო პირთა შესვლა საგამოცდო დარბაზში აკრძალულია.

საგამოცდო დარბაზში მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი.